# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**
წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

**ცალკე ნუმრის ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 128

წელიწადი მეორე

1913

თხშაბათი, 21 აგვისტო.

**მისამართი:** Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



ალექსანდრე თომას ძე ბაქრაძე, მაკრინე კოსტანტინეს ასული ბაქრაძისა, ვლადიმირ და კოსტანტინე ალექსანდრეს ძენი, ვერა, ნინო, ლიუბა, თამარი და ეკატერინე ალექსანდრეს ასულნი ბაქრაძეები და კოსტანტინე გიორგის ძე ხაბურზანია გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველი ორი დაუვიწყარი შვილის, მეორენი უსაყვარლესი დისა და მესამე შვილიშვილის

**ელენე ალექსანდრეს ასულის**

გარდაცვალებას ქ. პარიზში.—პანაშვიდი ყოველდღე დილის 11 საათზე. ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში.



## ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი

აცხადებს, რომ უფროსს მოსამზადებელ კლასში მიღება გთელდება, გინაიდან პარალელური განყოფილება იხსნება.



აგვისტოს ბოლოვამდე გაგრძელდება

## ხელის მოწერა „შოთა რუსთაველი და მისი პოემა"

წიგნი იქნება ჩვეულებრივი ფორმატის დაახლოებით 100 გვერდამდი, შოთა რუსთაველის სურათით და სხვ., ეღირება ხელის მომწერთათვის მხოლოდ ერთი აბაზი, გასაყიდათ კი მეტი ფასი ექნება.

წიგნის წმინდა შემოსავალი გადაიდება შოთა რუსთველის ფონდის გასაძლიერებლათ.

ვინც აგენტობას ისურვებს ვთხოვთ გვაცნობოს. ადრესი: ბაღის ქუჩა ს. გერსამია.

გამომცემელი სერგო გერსამია.



## ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

**ლებულობს შინაგან, ბავშებისა და ნერვების ავათმყოფებს.**

### იქვე დიაგნოსტური კაბინეტი.

გამოკვლევა **შარდისა** (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
ნახველისა (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აკტინომიკოზი და სხვ..)
სისხლისა (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
კუჭის სითხისა (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
ესკრემენტებისა (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
ჩირქისა (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
ქალის რძისა.

**ადრესი:** პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.



## ეგზამენები

ქუთაისის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში „Высшее Начальное Училище"—დაიწყება 22 აგვისტოდან, დილის 8 ს. თხოვნები ყოველ დღე სასწავლებელშივე მიიღება. თავისუფალი ადგილი ყოველ კლასშია.



ქუთაისის სამეურნეო

## სკოლის მართველი

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები ხსენებული სკოლის მოსამზადებელსა და პირველ კლასებში დანიშნულია 27-28 ამა აგვისტოს.



## თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

### დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.**



## ახალი წიგნის მაღაზია კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

### უდიდესი წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**

ახალ მაღაზიას შემენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შეამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და წიგნსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოება ყოველნაირი სასწავლო ნივთი მლიერ იაფათ.



## განცხადება.

ქალთა ორ კლასიან სასწავლებელში პროფესიონალური განყოფილებით 1 სეკტემბრიდან

**იხსნება მესამე კლასი:**

მოწაფეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან. სასწავლებელი იმყოფება უწინდელ ბინაზე: თფილისის ქუჩა, ნიკარაძის სახლი, № 46.

სასწავლებლის გამგე: ნ. ლ. მიქელაძის ასული დადიანისა.



## ქუთაისის ქალთა შვიდ-კლასიანი კერძო სასწავლებელი

**ე. ი. ყიფშიძისა**

ამით აცხადებს, რომ მისაღები და გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 22 ამა აგვისტოდან და გაგძელდება თვის ბოლომდი.



## ქირავდება

ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი 3 ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.



## იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.



შინაგან სნეულებათა **ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.



**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.



**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.



## აქიმი ი. ჩარექოვი

ილებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.


## შოვინიზმი თუ ინტერნაციონალიზმი?

ყოველი მცნება შეიძლება გადაგვარდეს, გადაბრუნდეს, გადაუკუღმართდეს.

და მეტადრე ის მცნება, რომელიც გამოხატავს, აღნიშნავს რასმე კარგს, კეთილს.

მაგალითად, ხშირად გმირობის სახელით მოუნათლავთ ძალმომრეობა, „ჩინოვნიკური" უსულ-უგულობა ჩაუთვლიათ პატიოსნებად, ქრთამის აღება მოწყალებად, აწიოკება კანონიერებად და სხ.

ასე მოუვიდა „ინტერნაციონალიზმის" მცნებასაც.

ეს სიტყვა ნიშნავს ძმობას ერთა შორის.

და სწორედ ამიტომ წამოკრავენ ხოლმე მას ხელს და ხმარობენ ფარად შოვინისტური საქციელის დასაფარავად და გასამართლებლად.

მეტადრე სომხურ-ბურჟუაზიულ პრესას შეუთვისებია ეს უცნაური ზნე.

სომხის ბურჟუაზიის ცალმხრივი მოქმედება და უსამართლობა ველარ გვიხსენებია ისე, რომ ხსენებულმა პრესამ შოვინისტობა არ დაგვაბრალოს „ინტერნაციონალიზმის" სახელით.

რაც უნდა ჩაიდინონ სომხის ცრუ მეცნიერებმა: ქართული წარწერებიც რომ ამოშალონ ძველ ნანგრევებზე, ცილიც რომ დაგვწამონ და გაგვლანძღონ ევროპელებთან, საქალაქო თვითმართველობათა კრებაც რომ დაგვიკეტონ, საქართველოში ეროზის შემოღებასაც რომ წინააღუდგენ, საქართველოს ავტონომიის იდეასაც რომ გაუცხდონ ბრძოლა,—ეს არაფერია: მათ ყველაფერი ეპატიებათ.

და, თუ ქართველმა ხმა ამოიღო და დაგმო მათი უმაგალითო თავგასულობა, მათი პრესა მაშინვე „ინტერნაციონალის" დროშას ამოეფარება და საერთაშორისო თვალსაზრისით მიიტანს იერიშს ვითომ-და შოვინისტ ქართველებზე.

და, რაც ჩვენა გვაქვს სათქმელი მათ წინააღმდეგ, უკან დაგვიბრუნებენ და ჩვენვე დაგვაბრალებენ ხოლმე!

თავს გაუვიდათ!

ხომ გახსოვთ, რა ჩაიდინა ხატისოვისა და ჯაბარის პარტიამ ამ რამდენსამე წელს წინად?!

ვითომ ახალი ჯგუფი შეადგენს ჩვენებურ გულუბრყვილო და ბრმა „დასელებთან", რომ ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი გაეთიშათ.

გათიშეს კიდევაც.

მიზანს მიაწიეს.

და, როდესაც აისრულეს გულის წადილი, ზურგი შეაქციეს და შავი კენჭები მიაყარეს „დასელებს".

თითქმის აღარცერთი „დასელი" აღარ აირჩიეს ხმოსნად.

და დარჩათ მათ ქალაქში ძველებურადვე ბურთი და მოედანი.

სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატის არჩევის დროს კი იმავე ხატისოვის პარტიამ არ უღალატა ვითომ „ინტერნაციონალს" და კ. ჩხეიძეს ჩაუგდო ხელში დეპუტატობა!

ერთი სიტყვით, როგორც მოუხდებათ, ისე ირჯებიან: ხან ვითომ ინტერნაციონალისტები არიან, ხან კი შუმი, უხეში შოვინისტები.

ხან თეთრ კბილებს გამოაჩენენ შავი გულის დასაფარავად, ხან კი შესაქმელადაც არ დაგზოგავენ, ახლოს თუ გაეკარე.

ამაზე იტყვიან: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო". შოვინისტობა დასწამეს ჩვენს საუკეთესო მწერლებს: ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ნ. ხიზანაშვილს, არჩილ ჯორჯაძესა და სხ.

მარტო სომეხთმოძულება დაინახეს ილიას „ქვათა ღაღადში".

შეურაცხყოფენ ჩვენს პირველ მწერლებს.

ტაშს უკრავენ მხოლოდ „დასელებს“ რომელთაც დეპუტატობაზე გასცვალეს მამული და ეროვნული იდეალი.

აი ერთი ახალი ამბავიც, რომელიც მოწმობს ჩემ მიერ ნათქვამის სიმართლეს (იხ. „სახალხო გაზეთის“ ნუმრები 9 და 18 აგვ.).

სიღნაღში საქალაქო არჩევნებში ჩვენს „დასელებს“ გაუმართავთ მოლაპარაკება ბლოკის შესახებ იმ პარტიასთან, რომლის მეთაურმა ბ. ოგანოვმა, როგორც სათათფიროს დეპუტატის ამრჩეველმა, თეთრი კენჭი უთავაზა სოციალდემოკრატს კ. ჩხეიძეს.

მაგრამ ბ. ოგანოვს უთქვამს, მხოლოდ მაშინ გაგიამხანაგდებით, თუ მარტო სომხები იქნებიან არჩეული რწმუნებულებადო!

უცნაური ამხანაგობა არ იქნება?

მშაკის მე-181-ე №-ში კი ვიღაც ბენიამინი პირიდან ცეცხლსა ყრის სიღნაღელი კორესპონდენტის წინააღმდეგ და, როგორც ჩვევიათ სომეხ პუბლიცისტებს, მუშათა კლასის სახელით ლაპარაკობს!

ერთი ვკითხოთ მუშათა ამ არამკითხე დამცველს, როდის და ვინ დააყენა ის მუშების ვექილად?!

მაგრამ განა არ ვიცით, რომ „მუშათა კლასი“ ეროვნული საკითხის გადასაფუჩეჩებლათ უნდათ მასა და მის ძმებს!?

ამაოდ კი შვრებიან: ვეღარ გასჭრის დღეის იქით მაგგვარი ხერხი!

ცხოვრებამ მთელი თავისი ულმობელობით დააყენა ეროვნული საკითხი, რომელსაც აღარ შაიძლება არ გავუწიოთ ანგარიში.

რას ნიშნავს ეს შავბნელი მუქარაო? გვეკითხება ბ. ბენიამინი.

აი რას. ბენიამინებს ჯერ ვერ მოუნელებიათ ის ფაქტი, რომ ქართველი ერი უკვე გამოვიდა სავაჭროსა, სამრეწველოსა და სამოქალაქო ასპარეზზე, რომელზედაც დღემდი მოცილე არ ყოლიათ სომხებს.

ქართველმაც მოითხოვა და კიდევაც დაიჭირა ადგილი ცხოვრების სუფრაზე.

ეს პროცესი სტიქიურია, ხალხურია.

დააწია თავი ხალხმა ძველს, მამაპაპისეულ ეკონომიურ უძრაობას.

და ქართველ ვაჭართა რიცხვა შეუდარებელი სისწრაფით იზდება.

სჯობს, ბ. ბენიამინო, თვალი გაუსწოროთ სინამდვილეს და აღარ იუცხოვოთ ის, რაც უკვე დიდ ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს.

ნუ გადაელობებით ქართველთა სამართლიან სამოქალაქო მოთხოვნილებათ.

თვარა, კარგად უნოა იცოდეთ, არ გამოგადგებათ მთელ ერთან ბრძოლა.

და ამგვარი ბრძოლა მავნებელი იქნება, როგორც ქართველთათვის, აგრეთვე თქვენტვის,

და, ვინ იცის, ევებ უფრო თქვენთვის, ვიდრე ქართველთათვის. **ისარი.**

# ახალი ამბავი.

ის დაკარგული თამასუქი, რომელიც დეპუტატთა საკრებულოში მიწვეულმა მთავრობის რევიზიამ ამოაჩინა ათას ოთხასი მანეთისა ყოფილა, ხოლო ამ თამასუქის დაკარგვით საქმის გამორკვევას ზიანი არ ექნება, ვინაიდან მოიჯარადრისგან სხვა საბუთიც არისო, რომ ეს ფული მიღებული აქვსო ამ მოიჯარადრეს.

✦ მომავალ კვირას, 25 მარიობისთვეს ცხრუკვეთის ახალგაზდობას განზრახვა აქვსო მგოსანი იროდ. ევდოშვილის სასარგებლოთ წარმოდგენა გამართოს.

✦ გამოქვეყნდა კანონი, რომლის ძალითაც სამრევლო შკოლის მასწავლებლებს ჯამაგირები ემატებათ.

✦ რამდენიმე პირს განზრახვა აქვს, მარტვილსა და მის მიდამოებში ექსკურსიია მოაწყოს, ექსკურსია დაახლოებით სეკტემბრის პირველ რიცხვებში გაემგზავრება.

✦ დღეს ქუთაისის ქალაქის თეატრში მსახიობთა ამხანაგობა ითამაშებს შალვა დადიანის ახალ პიესას — „შენი ჭირიმეს“. ეს პიესა ქუთაისის სცენაზე პირველათ იდგმება.

✦ არქიელის გორაზე ქურდ-ბაცაცობა დღითიდღე მატულობს, 19 აგვისტოს ღამით დეკ. ან. გერსამიას ძროხა მოპარეს.

✦ გუშინ ღამ გატეხეს ის. კვიცარიძის ჟურნ.-გაზეთების კანტორა. უკან ეზოდან გატეხილი ფანჯრით გაეღოთ კარი და წაეღოთ პატარა რკინის კასა, დილით ქურდები ამოაჩინეს. ეჭვი აიღეს ებრაელ ბიჭზე, მეგაზეთეზე; რომელიც წინა დღით დაითხოვა თურმე ბ. კვიცარიძემ. ებრაელი დააპატიმრეს და მასთან მისი სამი ამქარი, რომელთაც რკინის კასა ებრაელთა სალოცავის კიბის ქვეშ დაემალათ, უბნის მეთვალყურემ ვ. ლიაპინმა ამოაჩინა ყველა ეს, პატრონს ჩააბარა გაუხსნელი კასა და ქურდები ციხეში გაგზავნეს.

✦ ბაზრის ზედამხედველმა კორძიამ ოქმი შეუდგინა ჩარჩებს—რაფაილ ფიჩხაძეს, ვლადიმერ ჩხაბერიძეს, ვარლამ ჩაფლიშვილს, ალექსანდრე დოხნაძეს და მიხაილ უკლებას.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა ჩარჩებს: თედორე თუთბერიძეს, სოლომონ რუხაძეს, კოლია კაშიას და ნიკო თედორაძეს ბაზრის წესრიგის დარღვევისთვის.

✦ ფოთში, ქალადიდიდან შეშის მომტანი მენავე მუშები გაიფიცენ. წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნილებანი. რამდენიმე შეშით მოვაჭრემ მუშების მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა. გაფიცვა მშვიდობიანათ მიმდინარეობს.

✦ ბათომის რუსული გაზეთი „ბათუმსკი დენ“ 150 მანეთით დააჯარიმეს ყავახანაში ლოტოს თამაშის შესახებ ქრონიკის მოთავსებისათვის. რედაკტორმა ჯარიმა გადაიხადა.

✦ მიწისმოქმედების დეპარტამენტისაგან ქუთაისში სახელმწიფო მამულის სამართველომ 5.766 მანეთის ტალონი მიიღო ბათომის სამეურნეო საზოგადოების გადასაცემათ. ამ ფულით სამეურნეო საზოგადოებამ ბათომში ბატანიკური ბაღი უნდა მოაწყოს.

✦ 19 აგვისტოს ინჟინერ ოგანეზოვს ჟანდარმის თანხლებით, როგორც „ზაკ. რეჩს“ სწერენ, კახეთის რკინის გზის მოიჯარადრეებს ფული მიქონდა. ბაკურციხის მახლობლათ მას ყაჩაღები თავს დასხმიან. ყაჩაღებს და ჟანდარმებს შორის ამტყდარა სროლა. ჟანდარმი დაუჭრიათ. ყაჩაღებს ფული ვერ წაუღიათ. ერთი ყაჩაღთაგანი დაატყვევეს.

✦ ზუბალაშვილის სახალხო სახლში წარმოდგენების მართველ სექციას ა. წუწუნავა ისევ მიუწვევია რეჟისორათ.

**შეცთომის გასწორება:**

გუშინდელი ჩვენი გაზეთის (127-ე) №—ში დაბეჭდილი წერილის „ერთი დღე და ღამე ბახმაროზე“ ბოლოს შეცდომით არის მოწერილი: „კ. ქ—ი“ უნდა იყოს: „კ. ერ—ი“.

## მოწერილი ამბავი.

ზემო-იმერეთის მცხოვრებლები საშინელს მდგომარეობაში არიან შიმშილის მოლოდინით.

ჯერ კარგ მოსავლიან წლებშიაც სარჩო არ ყოფნის აქაურ გლეხს და ახლა ამ საშინელი გვალვის გამო ჩაფხეკილ კლდეებზე სრმინდი სულ გადაიწვა.

ნაადრევმა სიმინდმა ტანი აიზარდა, მაგრამ უტაროთ დარჩა, ნაგვიანევი კი ერთ ალაბზე მეტი არ გაიზარდა.

ყანები ბევრგან აჩეხეს, რადგან იმედი აღარ ქონდათ, თუნდ წვიმაც მოვიდეს. რაც შეეხება ვენახს, მთლად მოშუშა, ფოთლები გააყრევინა; მარცვალი წვრილია; ზოგ ადგილებში დამწვარია, რაც დამწიფდა, ისიც მწარეა. ამბობენ, წვიმა რომ დროით მოუვიდოდეს ვენახს კიდევ არაფერი უშავსო;

არც ლობიოს და სხვ. მცენარეების მოსავალია სანუგეშო.

ერთი სიტყვით, ხალხი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი.

# დღიური.

მექსიკის მთავრობას სამმა ბანკმა 12 მილიონის სესხის მიცემაზე თანხმობა განუცხადა.

— საბერძნეთსა და ოსმალეთს ხელშეკრულობის დადების შესახებ მოლაპარაკება აქვთ.

— საბერძნეთის მთავრობამ მოითხოვა საერთაშორისო კომისიიდან მილიუკოვის განდევნა.

— რიგაში ელექტრონის სადგურის 2500 მუშა გაიფიცა.

— ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულება გამწვავდა.

— ალბანეთის დროებითმა მთავრობამ იტალიელებს ტრამვაისა და საბაჟო კონცესია მისცა.

— ტრიესტში იტალიელები არეულობას ახდენენ.

— პრაგაში ძველ ჩეხთა პარტიის ბელადი შეიდლი გადაიცვალა

— ასტრახანში შავი ჭირი მძვინვარებს.

— სპარსეთის მთავრობა მზათაა, სალარ დოულეს თუთხმეტი ათასი მანეთი მისცეს და წართმეული მამულები დაუბრუნოს იმ პირობით, თუ ის ევროპას წავა.

# ახალი სულამიტიდი.

ა.

**პროლოგი.**

საფრთხე რამა ხარ ნორჩ გულთათვის შენ გაზაფხულო რადგან შენს მკერდზე იშლებიან ყველა სისხლიანი ყვავილები!

საფრთხე რამა ხარ, რადგან შენ ძოწის ფერ ლაწვზე, ელვნელ ჰეტერებსავით უსირცხვილო ყვავილები ხარობენ. საყვარულის ალის ფერი ყვავილები...

საფრთხე რამ ხარ საფრთხე, რადგან შენს წალკოტში არცერთი ყვავილი არ გაშლილა უცრემლოდ და უტანჯველად.

არც ერთი ყვავილი არ დამჭკნარა უხმოდ, უსიტყვოდ...

მე თვით მინახავს, თუ როგორ იშლებოდენ ისინი შენ ფრთათა ჰაეროვან რხევაზე...

როგორ უბრწყინავდათ სიხარულის ცრემლ-მორეული თვალები.

ისე როგორც ცის ეტრატზე შვების ღმერთის ხელით დათესილი ვარსკვლავები.

მე მინახავს ისიც, თუ როგორ იბნიდებოდენ, ილეოდენ, ქრებოდენ ისინი, სევდის ცრემლების ბროლად მთოველნი.

ისე როგორც გაუქმებული ტაძრის კანკელის წინაშე სანთლები, შავ მოწყენასავით პირ მოქუშულ მონაზნების ხელით ანთებული სანთლები.

ბ.

**სულის ძახილი.**

ტანთ განვიძარცვე, რადგანაც ჩემო, ტანთსამოსელი ჩემი სულისა, შენი სიყვარულის ქარტეხილზე ვნებით ირხეოდა.

ტანთ განვიძარცვე, რადგან გაზაფხულის მოსვლისას შენი ფრთაფარფატა სიყვარული უნდა მოსულიყო.

ვერ ხედავ ამ კვირტს, ხეთა ღიმილს, ხეთა სიხარულს, მწვანე სამოსში კდემამოსილს, როგორა სძინავს?

ვით ჩემი გული—შენს შეხვედრას, ჩემო სულამიტ, დღის სინათლესა როგორ ელტვის, როგორ შე ფრფინავს?!

როგორ ამწვანდა ველ-მიდამო! გვრიტიც ღუღუნებს, ვაზი ალვსილა სიხარულის ნეტარი ცრემლით.

სიხარულისა ტკბილ ექსტაზით ვაზი ალვსილა, ოჰ, მოვედ ტკბილო გაზაფხულო ჩემი სულისავ.

ჩემი სიცოცხლის განახლების ნეტარო დილა!!..

ხომ ხედავ, ჩემო—მე უშენოთ რო ვეხეტები, ვითა კანჯარი მაღალ მთისა დაცალკებული?

ხომ ხედავ, ჩემო, გაყრის ცრემლით ვით ვიღვენთები, ლოდინის ცრემლით ვით ივსება მგზნებარე გული?..

მიწას რომ სხივი გულს დაქათქათებს, მწვანე ქსოვილი ე მაგ მაღალ მთებს, მკერდს რომ უმშვენებს, გულს ასვენია.

წერწერტ ნაძვნარის საამო სუნთქვა, ბროლის ჩანჩქერი, ნაპირების ქვა, მიდვრის ბალახი, ხავერდის ხავსი,

ფოთოლთ ტიტინი ტკბილ ლოცვის მზგავსი, საამო სუნი გაზაფხულისა, მუქ მიწის გულ მკერდს რო ასვენია,—

ყველა ეგენი შენ შემაყვარე, შენ სხივთა კრთომა მათზე ფენია.

განა არ გახსოვს, როგორ გეტრფოდი, ვით შკლისა ნუკრი დედის გარშემო—აგრე შენს ახლოს დავნავარდობდი.

და შენც რამდენჯერ ვით მაგდალინელს, თმები ჩემს ფერხთით გაგიფენია—განა არ გახსოვს, სულამიტ ჩემო!?

აჰა, გეძახი დაგეძებ სულო! ვრბი, ვით უდაბნოს მგზავრი ეული—
აჰა, გეძახი, შენსკენ მოვილტვი, ვით იაკინთე ღმერთ დალეული.
აჰა, გეძახი, უდაბნოს შინა უშვრეტ წყურვილით ბაგე გამშრალი
აჰა, გეძახი, მო დამაწაფე მოწყურვებულსა ეგ ტუჩი ლალი..

გ.

**დიადი შვადღე.**

მოვედ რას უცდი, თითებს ვიკვნეტ მწარე ლოდინით...

ვგრძნობ ვით მეალერსება სახეზე შორეული ანარეკლი შენ—სხივთა ფრქვევის.

რადგან მოახლოვდა დიადი შვადღე, როდესაც შენი ორთვალა მზე შემოიჭრება, და ბინდათ აქცევს—მას.

როცა იგი ჩემს გულს ცეცხლის სხივებს ჩაარჭობს. როცა ორი შენი მტევანივით ძუძუ ჩემს მკერდს სუნთქვას დაუმძიმებს.

რადგან ახლოვდება ჟამი დიადი შვადღისა...

ხელ აპყრობილი გელი, თან გეძახი: „შავ ვარ და მშვენიერ ძმის წულო ჩემო, შავ ვარ და მშვენიერ.“

...და იმა მზის სხივთა ანარეკლი ვგრძნობ სახეზე მეალერსება

და ისე მაჟრჟოლებს ტანში, თითქოს შენ თოვლივით ხელებს მაკარებდენ.

და ძილი მერევა...

და მეზმანება მე ყვავილი ჯადოსნურ ძალით მზის ალმურში მოლაპლაპე უდაბნოს წიაღად აღმოფეთქილი,

რომელსაც სახეზე უშვრეტი წყურვილი ეხატება, დიადი შვადღის უშვრეტი წყურვილი.

ყვავილი იგი მე შენს თვალებში მინახავს ლოდინის ცრემლის მფრქვეველი.

მეზმანება შორეულნი ვარსკვლავნი, რომელნიც გიშრის ღამეებს თეთრათ ათენებენ.

ვარსკვლავნი ათას შეყვარებულთა თვალათ ანთებულნი.

ვარსკვლანი, რომელთაც მე ლოდინის ყვავილები ვუწოდე.

ვარსკვლავნი, რომელნიც გიშრის ღამეებს ბროლათ ათენებენ.

გიშრის ღამეებს, როცა ათას სურვილს, ათას თვალს—ხილვის მაია*) ჩამოეხსნება და უჭვრეტი ფლასი შესუდრავს.

სწორედ მაშინ ვარსკვლავები სდარაჯობენ ცის კრეტსაბმელს.

მხოლოდ ვარსკვლავები უცდიან ვიღაცას, მხოლოდ მათ თვალებს არ ეკარება—ძილი.

ისე გიცდიდი მეც, ძმისწულო ჩემო, და შენს ლოდინში ქარვის დღეებ გიშრათ ვალამემდი.

დ.

**შ ვ ე ბ ი ს ღ ა მ ე.**

გაფიცებთ თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო, არ გასცეთ ძმისწული ჩემი რადგან განიდენ ბჭენი—სახლისა დედისა ჩემისასა...

გაფიცებთ თქვენაც, მცველნო სიონისანო, არ გასცეთ ის, რომელიც შეიყვარა სულმან ჩემმან; რადგან განიდენ ბჭენი სახლისა დედისა ჩემისასა—და მოწა ეამბორა მის ფეხთ ნატერფალს.

—

კიბე კვნესის, მაგრამ კარი ნეტავ რათ არ აჭრიალდა.
კიბე კვნესის, თუ ეს ქარი ჩემ სარკმელთან აშრიალდა.
კიბე კვნესის, კარი რატომ არ გაიღო აქამომდის.
მის ფერხთა ქვეშ კიბე კვნესის, იგი მეძებს, იგი მოდის.
მარჯვენა ჩემი, მარცხენას შენსას, გარსშემოვხვიე, სულამატ ჩემო,
ეგ ძუძუების ტკბილი ნაყოფი უნდა მოვსწყვიტო, უნდა ვიგემო.
ნუთუ შენა ხარ, ძმისწულო ჩემო,
ნუთუ შენა გჭვრეტ ჩემს სარეცელზე?—
„ხელს ვეღარ ვანძრევ“.—„ეს ნაწნავია გველათ მწოლარე
ე მაგ შენს ხელზე“.
სულს ვეღარ ვითქვამ... გულს დამღადღადებს ორი ცეცხლის ტალღა სისხლ გამთბობი.
სულს ვეღარ ვითქვამ... ძმისწულის ჩემის მკერდს მასვენია ძუძუ კოკობი.
ვიშ სურნელება, ე მაგ ტევრ თმაში უჩემოთ ვინღა დააფრქვევია!?
ვითა ასპიტი ხავერდის ვარდსა,—ძუძუს ნაწნავი გარს ახვევია.

**კ. აბაშისპირელი.**

# რა გვიშველის?

ყველა ჩვენგანისთვის თავისთავად ცხადზე უცხადესია დღევანდელი ქართველების ეკონომიურათ აუტანელი მდგომარეობა და აქიდან გამომდინარე სხვა ძლიერ არა სასიამოვნო შედეგები; თუ ვისმე რამე ქონება ებადა ან აქვს, რომელთა რიცხვი თითით საჩვენებელია ჩვენში, და რომელნიც ჩვენში ჩამოსულსა და ჩვენსავე სამშობლოში გამდიდრებულ უცხოელებთან შედარებით არაფერს წარმოადგენენ, —უნიადაგო ყოფილა, ან არის; სიმდიდრე ჩქარა წასულა მისი ხელიდან; ქართველის ხელში ის ვერ გაჩერდება, სხვისკენ გადადის, ვინც უფრო მოიხმარს და გაუძლვება.. გაიგონებთ ხშირათ—ესა და ეს კაცი გამდიდრდა, ამა და ამ კაცმა ბევრი ფული მოიგო, ბევრი მამული შეიძინაო და სხვა. არ გავა ბევრი დრო და გაიგონებთ—უკვე დაღარიბდა, გაკოტრდა, იზარალა და დავალიანდაო. ჯერ სული ხეირიანათ არც მოუთქვამს, რომ უკვე ეხუთება. ყოველ საქმეს, რა რიგისაც არ უნდა იყოს იგი, საითკენაც არ უნდა იყოს მიმართული, ცხადია—აუცილებლათ პრაქტიკული ჭკუა, ცოდნა და გამოცდილება ესაჭიროება. ცოდნას რეალური განხორციელებისთვის ასპარეზი ექნება, მაშინ თეორიულად მცოდნე ადამიანი პრაქტიკულათ დახელოვნდება და მიიღებს შესაფერ მოცდილებას, იოლათ შენიშნავს—აკლია მას დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. რიგათ ცხოვრება უკარნახებს, და ადამიანი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს მის დენას, წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრება მას გადალახავს, ჩამოიტოვებს დამარცხებულს პირქვე დაამხობს.

რაკი ჩვენ ამ მხრით უვიცნი ვართ, ვერაფერს ვამჩნევთ, თვით მწარე სინამდვილე და ცხოვრება გვიჩვენებს და გვჩიჩინებს—ეს ასე ქენით, ასე მოიქეცით, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს წააგებთ. ხოლო ჩვენ მაინც თავ-ბრუ დასხმულივით პასუხს არ ვაძლევთ ამ ჩაძახილს, თითქო ჩვენ არც გვეხებოდეს, თითქო სხვას ეუბნებოდენ, იმ სხვას, რომელთანაც ჩვენ არაფერი საერთო არ გვქონდეს.

ქართველები საზოგადოთ იშვიათად მოვკიდებთ ისეთ საქმეს ხელს, რომელიც საზოგადო სარგებლობას მოიტანს, რომელზეც დამყარებულია ეკონომიური და კულტურული პროგრესი.

*)—მაია, ინდოელთა ფილოსოფიაში ის ჩადრია მოჩვენებისა, რომელიც მომავლთა თვალებს გარს ახვევია, რომლის წყალობითაც ისინი მსოფლიოს ჭვრეტენ. კ.

,და მთავარი მიზეზიც; სხვათა შორის ჩვენი უცოდინარობაა.

...და-მიწა, რომელსაც ტყუილათ არ ...სებია ეს სახელი—დედაა ყოველი ...ს წარმომშობი, ყოველი იმის ...თაც ცხოვრება შეუძლებელია, რო... ადამიანისთვის, აგრეთვე ყოველი ...ლისთვისაც. ხოლო ეს დედა-მიწა ...ნს ვერ აძლევს ყოველივე მზაზა...ს; საჭიროა ჩვენი მხრით გონებისა ...ის განძრევა, ყურადღების მიპ... მასზე, რასაც იგი ასე უხვათ ზვია... ...აძლევს, რომ ფასიც ვიცოდეთ ამ ...ულისა.

...ნი უცოდინარობის გამო, მის მა... ...რომ ხელი მოვკიდოთ ამ ფრიად ...გებლო დარგს ცხოვრებისას,—ვა... სამიკიტნოებს, ყავახანებს, და სხვა გამათახსირებელსა და გონებრივათ ...უნგველ დაწესებულებებს, სხვასაც ...ით, ვსცარცვავთ და ჩვენს თავსაც. ..., რომ გაჭირვებაში ვართ ჩავარდ... ...ბევრიც სადღაცა შორს ქვეყნებში ...ეწილა სამუშაოთ და ოფლით ნა...ს ორიოდე გროშს უსარგებლოთ ...ვს, არ ახსოვს ღვიძლი ქვეყანა ...ები, მოკეთე, კარ-მიდამო.

...ელი ამის მიზეზათ ,,საქმის'' უქონ... ...ასახელებენ. სხვები კი მოდიან „სა...'' იჩენენ და ჩვენზე ბევრათ უკე... ...ეწყობიან ჩვენს ოჯახში, ჩვენზე ...ებით კარგათ გრძნობენ თავს და, ..., მაზეზარ სტუმრებივით დაგვიწ... ...ყურება და, სადაც არის, გადაგვე... ...ო გვიბძანებენ, მაგრამ ბძანებაც არ ...ა:—ჩვენის ნებით, ან ოხრის ფა... ...ვენს მიწა-წყალს ხელიდან ვიცლით, ...ერთად აღებული ფული ერთად და ...ფოთ გავაბნიოთ, ჰაერში დავრ... ...აშინ სულის წაბერვა და კმარა. ასეთ ...ილსა და საშვილისშვილო'' საქმეს ...ჩვენი მემამულე და თავად-აზნაუ... ...ჩადის. წელიწადი ისე არ გაივ... ...რამდენიმე ასი, ათასიც დესეტინა ...წყალი და ტყე არ მიყიდონ ვინმე ...ს. გარეშეს უფრო არხეინათ ევე... ...ნ, ის ერთად, ნაღდათ იყიდის და ...ულე სიხარულშია... არ იცის სა... ...მ, რა განძს რა საუნჯეს ეცლება ...ვით, და მერე რა რიგათ მტრობს ...ას, ერს.

...ის მეზობელს კი, რომელსაც ერ... ...ორ შეუძლია ამ მამულის ყიდვა, ...ებას არ აძლევს ნაწილ-ნაწილათ ...ს და გადიხადოს ფასი. სხვას უფ... ...აფათაც მიყიდის, ოღონდ კი ერ... ...მოიგდოს ფული ხელში. უსახსრო... ...აძულებსო—იტყვის ბევრი. გავან... ...თ ხელი, ვიმუშავოთ იმ ჩვენს აღ... ...მამულში, სადაც სხვა მდიდრდება ...ენაც გვექნება რამე...

...ეურნეო განათლება, სამეურნეო ...ლება პირველ ყოვლისა. სასოფლო ...ნეობის შკოლები პირველდაწყებითი ...მაღლესი... აქა, ჩვენი ხსნა, იარაღი ...ტერიტორიის დაცვისა...

**გიორგი მოსეშვილი.**

## მოუსავლობა.

...იმიტიულათ მიწის დამუშავებამ თა... ...ნაყოფი მოიტანა. ეს ნაყოფი პირ... ...ი შედეგია მეურნეობის დღევან... ...ი მდგომარეობისა. გამოფიტულმა ...მოსავალი არ მოიტანა.

...ოყიერეს, პატივსა და შესვენებას ...ებული მიწა, აბა, რა ხეირს მოი... ...ა. ჩვენი მეურნეობა ამ მდგომარე... ...ი თანდათანობით მიდიოდა და ..., ხოლო ჩვენ ნიანგის ცრემლების ...ვის მეტი არაფერი გაგვიკეთებია.

...ეს უბედურება კარზეა მომდგარი. ...ანდელი მოუსავლობა ხალხის დამ... ...გამოიწვევს.

...უბედურება ჩვენი უაუდევრობის ...მო შვილია.

...რთალია, ქართული პრესა უბედუ... ...ს მოახლოებას დიდიხნიდან წინა... ...მეტყველებდა, მაგრამ პრესის წინა... ...მეტყველებას ყურადღება არავინ ...ია. რაც იწერებოდა, და არა ერთ... ...ითქვა საზოგადოებაში—საქმით არ ...დებოდა, სამეურნეო შკოლების ...ტესობა აღვიარეთ, მაგრამ ასეთი ...ების დაარსებას ვერ ვხედავთ.

...ტკეპნი გზით სიარულმა კლდის ნა... ...ს მიგვიყვანა, თუ განვაგრძეთ ამ ... სვლა კლდეშიც გადავიჩეხებით.

...უსავლობა, ხალხის დამშევა დიდი ...ურობაა, და დიდი უბედურობაა მე... ...ე იმ ქვეყნისთვის, სადაც კაპიტა... ...მი არ არის განვითარებული.

ჩვენი ხალხის უმთავრესი წყარო და შემოსავალი სიმიდის მოსავალია.

შემთხვევა გვქონდა, თვალის გადავლებით გზადაგზა დაგვეთვალიერებია ყანები: მაღლაკსა, გუბისა, კუხსა, ხონსა, ნახახულევის საზოგადოებასა და ოდიშის ზოგიერთ სოფელში. ყველგან ერთი და იგივე უიმედობის სურათი ვნახეთ.

ნუ დავიკრეფთ გულზე ხელს. ოქროპირობა და ნიანგის ცრემლების ფრქვევა საქმეს არას უშველის. აქიდანვე შევუდგეთ საქმეს.

ქუთაისში რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა შესდგეს კომიტეტი, რომელმაც ნამდვილი ცნობები უნდა შეკრიბოს მოსავლის თაობაზე და დახმარების, შველის ხელი გაუწოდოს გაჭირვებულ ხალხს.

**ა—ხი.**

## ფოთის ქართველ მომღერალთა გუნდის კონცერტი.

გასულ კვირას ფოთის საზოგადოებას შემთხვევა მიეცა, ცირკის შენობაში ქართული კონცერტით დამტკბარიყო. კონცერტს წინ უძღოდა მოკლე მოხსენება, თუ რისთვის დაარსდა გუნდი. ვფიქრობთ —მკითხველი არ გვისაყვედურებს, თუ აქვე იმ მოხსენების რამდენსამე ადგილს მოვიყვანთ:

„გარეშე მიზეზის“ გამო ლანდათ ქცეულა ერთხელ დიადი ეროვნული სული ჩვენ ხალხისა, რომლის უხილავ ბჭეთა ქვეშეც საუკუნეებით იჭედებოდა „ბედი ქართლისა“-ო სთქვა, სხვათა შორის, მომხსენებელმა—დ. ნიკოლაიშვილმა — და, რასაკვირველია, ფიქრიც მეტია იმის შესახებ, რომ ასეთ პირობებში მყოფმა ერმა შესძლოს თვალსაჩინო კულტურის შექმნა,

შემოქმედებას თავისუფლება სჭირია, და იქ, სადაც ეს თავისუფლება არ არის, შემოქმედება კვდება და, ან თუ კიდევ ცოცხლობს, მისი ნაყოფი მუდამ ზერელე დამკრთალია. და აი, სანამ ისეთს დროს მოვესწრებოდეთ, როდესაც შესაძლებელი გახდება მოლონიერებული ფრთების სანავარდოთ გაშლა, ნამდვილ შემოქმედათ გადაქცევა, მანამდი ჩვენი ვალია, სხვასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მივაპყრათ ერთ რასმე—ეს გახლავთ ჩვენი წარსული: ძვირათ, მოეპოება რომელსამე ერს ისეთი ბრწყინვალე წარსული, როგორიც ჩვენა გვაქვს. რამდენიმე ათას წელიწადს სცოცხლობს ქართველი და ამ ხნის განმავლობაში, თითქმის მუდამ ბრძოლაში მყოფი, იგი კიდევ პოულობდა თავისუფალ დროს, რათა შეექმნა მდიდარი სულიერი კულტურა და წმინდათ, ხელუხლებლათ, რამდენათაც ეს შესაძლებელი იყო, მეცხრამეტე საუკუნის კარებამდი მოეტანოთ.

გარდახედეთ აქა იქ მტრის განადგურებისაგან გადარჩენილ, ტაძრებს სიმაგრეებს; გაეცანით ჩვენს ძველ მწერლობას, ყური დაუგდეთ ჩვენს მუსიკასა და დარწმუნდებით. დიახ, თითქმის ბრძოლის ველზე შეუქმნიათ ჩვენთა წინაპართ ეროვნული კულტურა და ჩვენთვის გადმოუციათო.

ახლა ჩვენი ვალია თუ ამ ნანდერძევ განძს ნამდვილი სახით გადავცემთ მომავალ თაობას.

ვშვებით კი ამას? საუბედუროთა არა!

ჩვენ თვალწინ ქრება საუკეთესო ნიმუშები ჩვენი ისტორიული ცხოვრებისა, გულშემატკივარი კი არა სჩანს. ყოველი ახალი დღე ურცხვათ სტაცებს ჩვენი ეროვნული კულტურის სხეულს საიმედო ნაწილებს—ხმის ამომღები კი არავინაა. ეს სამწუხარო მოვლენა მეტის სიცხადით გვიდგება თვალწინ, როცა ხალხის შემოქმედების იმ სფეროს ვაკვირდებით, რომელსაც ვოკალური მუსიკა ეწოდება. ინსტრუმენტალურ მუსიკაზე ხომ ლაპარაკიც მეტია!—ის თითქმის არც კი არსებობს. „ხუროთ მოძღვრება—გაქვავებული მუსიკაა—სთქვა ერთმა მეცნიერმა. მუსიკა კი—გახმაურებული გრძნობაა, შეგვიძლია დავსძინოთ ჩვენაო.

ხალხური ვოკალური მუსიკა-სიმღერები— ეგ ხორცშესხმული გრძნობაა ხალხის. აქ გამოიხატვის ხალხის სულიერი სახე, მისი ტანჯვა და სიხარული. და აი, ეს წმინდა, სათუთი გრძნობა სრულიად გაქრობის გზას დასდგომია. გაიხსენეთ, თუგინდ ახლო წარსული, რომელიც, სულ დიდი, ათი-თუთხმეტი წლით დაგვცილებია, გაითვალისწინეთ აწმყოც და დარწმუნდებით, რომ, ჩვენდა საუბედუროთ, ეს ასეა და ჩვენი გუნდის მთავარი მიზანია—შეებრძოლოს ხალხურ-ვოკალური მუსიკის გადაგვარებას, გაქრობასო.

ჩვენ მთელს ძალღონეს მოვ ხმართ ხალხური სიმღერების შეკრებას, შესწავლასა და შეულახველი სახით ისევ ხალხისთვის გადაცემას. ამ მიზნით გუნდი გამართავს კონცერტებს, როგორც ფოთში ისე საქართველოს სხვა დაბა ქალაქებშიო და სხვა.

ბ-ნი ნიკოლაიშვილი დამსწრე საზოგადოებამ ხანგძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

მოხსენებას შემდეგ გაიმართა კონცერტი ა. მეგრელიძის ლოტბაროეით, ამხანაგობა დიდი ხანი არ არის რაც შესდგა,—სულ თვე ნახევარზე მეტი არ იქნება, მაგრამ ეტყობა საკმაოდ მომზადებულა და, სახელსაც მოიპოებს ჩვენს საზოგადოებაში. ამ კონცერტზე შეასრულეს სულ 26 სიმღერა, რომელთაგანაც საზოგადოებას განსაკუთრებით მოეწონა: „გუშინ შვიდნი“, „კუჩხა ბედნიერი“, „ლაჟვარდ ცაზე“, „პარასკევს სიზმარი“, „ალიფაშა“, „ვარალო“, „ვადილა“, „მაყრული“, „ჩელა“, „ფერხული“, „ყანური“, „ალსდევ გმირთ-გმირო დი „ჩუხჩუხით“. მრავლათ თავშეყრილი საზოგადოება კმაყოფილი და მადლიერი დარჩა.

**კომეტა.**

## დ ე!!

დე, დე, დემონი ფლობდეს ჩემსა სატრფოს, ღვთაებას,
მის შავ ფრთების ქვეშ გაისმოდეს კვნესა საზარი...
დე, ნუ ექნება ჯერაც ბოლო ტანჯვა-ვაებას,
ცეცხლის ქურაზე ირღვეოდეს შვების ტაძარი...
დე, მაცხოვარმა ოხვრით ზიდოს წამების ჯვარი;
და დასცინოდეს მას იუდა, ფარისეველი,
ყოველი მხრიდან გაისმოდეს სიცილ-ხარხარი
და შეურაცხყონ წმიდა მისი საკურთხეველი...
-არაფერია! დაიმსხვრევა მძიმე ბორკილი,
კერპთ სამსხვერპლოსთან ხმა საზარი გაიკმინდება!..
განთიადისას ნათლის მფენი, ძლევა-მოსილი
ცისკრის ვარსკვლავი მოციმციმე ამობრწყინდება!..

**მ. ელზაშვილი.**

## მშრომელი ხალხი.

**ნავთის სამრეწველო რაიონებში.** ნავთის მრეწველთა შიში—გაფიცვა გროზნოშიც გავრცელდებაო, გამართლდა. ცნობაა, გროზნის სამრეწველოების მუშებმაც წარუდგინეს ქარხნის ადმინისტრაციას ეკონომიური მოთხოვნილებანიო. გროზნოშიც ისეთივე მოთხოვნილებანი წარუდგენიათ, როგორიც ბაქოში. ჯერ გროზნაში მუშაობა არსად არ შემწყდარა. გროზნის მუშებმა სულ 50 მოთხოვნილება წარადგინეს. მოითხოვენ უმთავრესათ შრომის ხელფასის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას, საცხოვრებელი ბინის პირობათა გაუმჯობესებასა და სხვა. გროზნის ნავთის მრეწველებს ამის შესახებ კრება ქონდათ. ნავთის მრეწველები სრულიად დააკმაყოფილებენ მუშათა მოთხოვნილებასო. ბაქოს რაიონში საქმის მდგომარეობა არ შეცვლილა. მუშები მრეწველებისაგან ანგარიშს არ ღებულობენ. სამრეწველოების ადმინისტრაციას უნდოდა პასპორტები პოლიციის საშვალებით ჩაებარებია მუშებისათვის. ამგვარი ზომების მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა პეტერბურგის ნავთისმრეწველთა გამგეობამ.

## რუსეთი.

მინისტრის ძმა. 14 აგვისტოს მოსკოვში დაიჭირეს ვინმე ახალგაზდა, რომელიც ამბობდა შინაურ საქმეთა მაკლაკოვის ძმა ვარო. მას ჩამოუვლია მოსკოვის მდიდარი ვაჭრები და მათგან ფული აულია.

**თავადი ურუსოვი.** ათონის ბერების საქმის გამოსაძიებლათ ადესას მივიდა თავადი ურუსოვი. ურუსოვი ჯერ ადესაში ეცნობა საქმის ვითარებასა და შემდეგ ათონს წავა.

**,,ჭეშმარიტი რუსები''.** ადესაში წყალსადენის მუშებმა და მოხელეებმა უფროს მოხელის წინააღმდეგ საჩივარი აღძრეს. სჩივიან: სამი წელიწიდია ჭეშმარიტ-რუსთა სასარგებლოთ გადასახადს გვახდევიებენო. ამ გადასახადის შეტანა ჩვენთვის მძიმე შეიქნა და გთხოვთ დაგვიხსნათო...

## უცხოეთი.

**ქალთა საერთაშორისო კონგრესი.** რომში 1914 წლის 21ს მაის გაიხსნება ქალთა საერთაშორისო კონგრესი. თვითოეული დელეგატი ვალდებულია პირველხანათ ათი ლირა გადაიხადოს. მამაკაცებს სიტყვის თქმის უფლება ეძლევა მხოლოდ თავჯდომარის ნებართვით. კონგრესში მონაწილეობის მსურველმა განცხადებასთან ერთად ათი ლირა უნდა წარადგინოს. იმსჯელებენ საოჯახო ცხოვრების, ქალთა შრომისა და სხვათა შესახებ.

**ბელგიაში.** ბელგიის საპარლამენტო სესიის სხდომები დასრულდა. მიიღეს ახალი სამხედრო კანონპროექტი, რომლის ძალით სამხედრო საჭიროებაზე 40 მილიონი ფრანკი უნდა გადაიდვას. სესიის საკანონმდებლო მუშაობა უნაყოფო იყო. საკანონმდეალო მუშაობას ხელი შეუშალა საყოველთაო გაფიცვამ, რომელიც ს. დ. პარტიამ მოაწყო. მემარჯვენე და მემარცხენე პარტიები ემზადებიან საშკოლო კანონის გამო ბრძოლისთვის. ლიბერალები და სოციალისტები შეთანხმდენ მთავრობის საშკოლო კანონის წინაღმდეგ.

## პატარა ფელეტონი

### დიდ ქოთანზე.

სამსალა და თერიაყი ჩემს ენასა
ორივ სდიან.
ნარიძენი ნარს სთესავენ, ბოლოს
ნარსვე მოიმკიან.
(ასე იტყოდა ნაცარქექია).

**ქება პირველი.**

ამას წინათ ერთი ფრიად საგულისხმო (განსაკუთრებით ერთი მიმართულებისთვის საყურადღებო) სენსაცია ამცნო ქვეყანას ევროპის პრესამ:

ქალაქ გატჩინოში ქოთნების მსოფლიო გამოფენაზე გამოიტანეს უდიდესი, უღრმესი და უუფართოესი ქოთანი მთელ დედამიწის ზურგზე.

ეს ალბათ ჩვენი დასელების ყურსაც მოხვდებოდა, ისეთ ყურს, რომელსაც ისიც კი არ გამოეპარება, თუ სად რას ჩურჩურებენ, რომელი ქუჩის შესახვევის ჩასახვევთან, ან რომელი დუქნის წინ რას ამბობენ, თვარა ასეთ საგულისხმო ამბავს უყურადღებოთ დატოვებდენ? და მერე ასეთ ქოთანს არ შეიძენდენ თავისი ავლა-დიდების შესანახავთ?

ჰო და, წარმომადგენელს აფრენდენ ალბათ გატჩინოში, როგორც უდიდესი „მუშათა“ პარტია მთელ ქვეყანაზე უსათუოდ შეიძენდენ ამ უუდიდესს ქოთანს მთელი ქვეყნისას... მაგრამ, აბა, თქვენ თვითონ ბძანეთ, როგორ დაიტევდა ქოთანი იგი დასელთა ჭორებს, როცა მთელ საქართველოში ყველაზე უფრო „გავრცელებული“ და მასთან უდიდესი გაზეთი „განთიადიც' კი ვერ იტევს მას. თვით „განთიადიც'' კი—იმიტომ მოგახსენეთ, რომ იგი ისეთი გაზეთია, რომელიც მარტო გოჭოურის და ბანოჯის პროლეტარიატში ორშიც ათას ცალამდი სადღება.

„განთიადიც“ ვერ იტევს-მეთქი, თუმცა მეთაურში ჭორს სტენიან, ფელეტონში, რა თქმა უნდა... ახლა კიდევ პროტესტები—ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი, რომ დაიტიოს, მიუხედავათ იმისა, რომ მათს ნაცოხნს დღითი დღე აკლდება წონა, მაგრამ, თქვე დალოცვილებო, განა მარტო წონაშია საქმე? ...და რომ მათ ნაცოხნს წონა აკლდება დღითი დღე, დასადასტურებლათ, თუ გნებავთ, ცოცხალ ციფრებს მოგიყვანთ მათივე მეკნიერების სტატისტიკიდან ამოკრეფილს.

აი, როგორი პროპორციით უკლია წონაში ერთ ტვირთ მძიმე, უკაცრავათ— „ჭვინ მძიმე“ თანამშრომლის თაგუნას ტვინს, მიუხედავათ იმისა, რომ მისი პატრონი ბახმაროზე იყო წასული თავის წონის მოსამატებლათ. ხოლო, მოგეხსენებათ, ქონდრის კაცი იალბუზზეც რომ ავიდეს, მაინც ქონდრის კაცათ დარჩება.

ეს არ სცოდნია ბატონ თაგუნას. მეტომაც წასულა ბახმაროზე წონაში მოვიმატებო და აქიდან თავის წონაც აიწევსო, მაგრამ ბუნების წინააღმდეგ ვინ წავა? და ბოლოს, ახირებულია ე ოხერი თავის საქმე, ტანმა რაც გინდა იმატოს წონაში, მჩატე თავი მაინც ფუტურიზმისკენ ისწრაფვის.

აი, მაგალითად: 21 ივლისს, ვსთქვათ, პატივცემული თაგუნა იწონიდა X-ს (ვისაც მატემატიკური ტვინის ლიტინი სჭირს ამ სიცხეში, შეუძლია—ჩვეულებრივი ზომის თავგი ასწონოს და X-ის მაგივრათ ჩასვას.

ჰო, 21 ივლისს იწონიდა
თაგუნა X—10 გირვ.
27-ს . X—23 გირვ.
30 ივლისს კი X—70 გირვ.
იხილე ,,განთიადი'' № 14.

31 ივლისს, ჰოი საშინელებავ, ეფირისებურ სიმჩატეს შეუპყრია ჩვენი ,,ნიჭიანი'', უკაცრავათ ,,კბილ-ჭიანი'' იუმორისტი.

30 ივლისის წონა ავიღოთ, თუ გნებავთ,—X—70 გირ. (და იმედი უნდა ვიქონიოთ—მალე სულ გამოფუტურდება იგი,—ე. ი., ნამდვილი ფუტურისტი იქნება) ჩვეულებრივი თავგის წონა ყოველ შემთხვევაში 2 გირვანქას არ აღემატება. (,,თაგუნა'' ხომ ჩვეულებრივი არაა— ,,განთიადის'' თაგუნაა) დაახლოებით 3 გირვანქა. მაშ ,,თაგუნა'' იწონიდა პირველათ 3—10 გირვანქას და რამდენიმე ხანს შემდეგ კი 3—70 გირვანქას. აქიდან გამოიანგარიშეთ პროპორციონალურათ თავის წონა, ტან-ფეხთან შედარებით (თუმცა თაგვებს, მოგეხსენებათ, თავი გაცილებით ნაკლები აქვთ გვამზე).

მაგრამ რა საჭიროა ბევრი თავის შეწუხება. ეკითხოს ,,განთიადის'' რედაქციას, სადაც თაგვებზე დღე და ღამ თეთრ ტერორს ახდენენ თურმე.

თუმცა ახირებული კია—თეთრი ტეტორი შავ თაგვებზე!

და ასე საშვალოთ—,,თაგუნას'' წონა უტანოთ წმინდა ,,მეცნიერული'' ანგარიშით, უდრის ყოველ სიდიდეზე უმცირესს სიდიდესს. აი დასწყევლოს ღმერთმა ტერმინოლოგიის უქონლობა Величина менѣе всякой малой величины. ,,თაგუნა თუ ხმარობს რუსიციზმებს და ხანაც ,,ფრანცუციზმებს'', ჩვენ რაღა დაგვიშავდება ამით?!

აი, ზემო-მოყვანილი ცნობებიდან ნათლად დაინახავს მკითხველი—როგორი რეაქციაც წარმოობს ,,განთიადის'' ერთ-ერთი ბურჯის თავში, მერე ისეთი ბურჯისა, რომელიც მთელი ზაფხული ბახმაროზე სუფრას უზის, და ახლა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ—რამდენათ დაიკლებდა ან ნარიძის, ან რომელიმე სხვა იძის თავი ამ სიცხე პაპანაქებაში ძირს ბარად.

და ბოლოს, კარგათ მოგეხსენებათ, თანამშრომელთა თავის შემჩატებით მსუბუქდება ,,განთიადის'' ავლა-დიდებაც, მაგრამ მიუხედავათ ამისა, გარწმუნებთ— დასელების ჭორიხანა თავის პროტესტებიანათ გატჩინოს უუდიდეს ქოთანშიც კი არ ჩაეტევა.

შვიდი კეცის ფიცით გარწმუნებთ თქვენ, ძმანო ჩემნო—

რადგან დასელთა ავლა-დიდება,
ჩვენ არა ერთხელ გაგვიქექია,
და კვლავ განვაგრძობთ მათ განქიქებას...
აწი ვწერ ამ ქებას. **ნაცარქექია.**

## დ. ხ ო ნ ი.

კარგათ მოეხსენება პატივცემულ მკითხველს, თუ როგორი ნახსენებია „ხონი“ და თვით „ხონელებიც“, „ხონელი რწყილს ტყავს ართმევსო“ —გამიგონია. ეს შეიძლება ითქვას თითო-ოროლა პირზე, თვარა საერთოდ, თუ კარგათ ჩავუკვირდებით, ამის წინააღმდეგს ვხედავთ. ხშირათ გამიგონია კარგი გამოცდილი ხონელი გლეხებისაგან, რომ ხონისთანა ყრუ, მუნჯი და „სათლელი ცხვრის დუმა“, არც ერთი კუთხეში დედამიწის ზურგისა, არ მოიპოებაო. და დაკვირვებამაც ნათლად ამ დასკვნამდი მიმიყვანა. ყოველ კუთხეში ჩვენი ქვეყნისა, საზოგადოება, ხალხი, ცდილობს ისე მოაწყოს თავის საქმე, როგორც—ყველას თუ არა—უმეტესობას არგებს. ხონელები კი ძვირათ ცდილან და ვერც ახერხებენ, როგორც სხვაგან, რაიმე საქმე ისე მოაწყონ, როგორც მათთვისა და მათი მომავლისათვისაა საჭირო. ავიღოთ თუნდ სოფლის ყრილობა: აქ ვერ გაიგონებ ნამდვილ ხალხის გულიდან ამოსულ პა-

მიღებულია:
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

| ბორჯომის წყალი | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | უყუთი |
| --- | --- | --- | --- |
| 1/1 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 1 ... |
| 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15... |
| ნარზანი და ესენტუკი № 20, 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13... |

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩა

მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აურებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.

სუხს ამა თუ იმ საკითხზე, გული გიკვდება კაცს, როცა ხედავ, რომ ხალხი სხვას გრძნობს, სხვა სწყურია უფრო ჭეშმარიტ გზას ადგია და აშკარათ ალსარება ამისა კი არ შეუძლია. რა არის ამის მიზეზი? პირველი და უმთავრესი ისაა, რომ იმ პირთ, რომელთაც სცადეს ხალხის სულის კვეთება, სწორი აზრი წარმოეთქვათ და დაეცვათ, ლანძღვით, მათრახით და ციხით გაუმასპინძლდენ; მეორე ისაა, რომ, თუ ვისმე საზოგადო საქმეში უმოლვაწია ხონში, ყველა ცდილა, რომ ყოველი საქმე ისე მოეწყო და გადაეწყვიტა, როგორც მისთვისაა სასარგებლო და საჭირო. რამდენიმე მყვირალა პირია,—წინდაწინ დათათფირებით და გადაბირებით—ხალხის გულში ჩახედვა, იმის სიტყვის, მსჯელობის გაგება არ ეპრიანება. დიახ ამანაა, რომ გაუტეხა ხალხს გული; არ აინტერესებს ყრილობა, არც არავითარი საზოგადო საქმე, რადგან დარწმუნებულია, რომ სულ ერთია, მას თავისას მაინც არ ათქმევიებენ, რასაც მაღლიდან დაყვირებენ, კი ბატონოო, თუ არ უპასუხა, იცის, რა მოელის.

აი, აგერ თვეზე მეტია, ყრილობა ხონში ვერ შეკრიბეს. აქ ვერც ხალხს ვამართლებ, რადგან ყველა ვალდებულია თავისი უფლება უკანასკნელი სისხლის წვეთამდი დაიცვას. სხვა საზოგადოებაც ასეთ პირობებშია, მარა ყოველგან თავისი გაიტანეს შეთანხმებული ძალითა და ერთსულოვნობით.

ახლა გავხედოთ ჩვენს ბაზარს, ვაჭარ ხალხთა წრეს, აქაც უნუგეშო სურათს დავინახავთ. შევხედოთ ბაზრის დეპუტატებს, ხალხის ჯიბით არჩეულ მცველებსა და ხელმძღვანელს! ყველა იმას ცდილობს, რომ ჯამაგირი თავის დროზე აიღოს და დაინტერესებულია ჯამაგირის გარეთ, რაც შეიძლება, ბლომათ აცანცლონ, რისთვისაც ცალი ხელი განზე აქვთ გაშვერილი და საზოგადოება, ბაზარი, თუ გინდ წყალმა წაიღოს, იმას არ დაგიდევენ. არ არის შემუშავებული საზოგადო წესი, ნიხრი, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს ყველა—მეპურეაიგი, ბაყალი, მეფართლე, მიკიტანი, მეეტლე და სხვ. თუ არის რამ დადგენილი, მხოლოდ ქაღალდზე, არავინ არ აქცევს ყურადღებას ამ წესების შესრულებას. ვისი მოვალეობაა ეს—ამის ყურისგდება. არ არის არც სანიტარული კომისია. აქაური პური ადამიანს არ ჩაეშვება პირში, რადგან ნახევრად ცომია და მჟავე. უკანასკნელი ხარისხის პური გირვანქა აქ 4 კაპ. იყიდება, და ისიც ცომი და მჟავე. რა თევზი იყიდება ხონში?! მეხილეებს სანახევროთ დამპალი ხილი უწყვიათ, რასაც აურაცხელი ბუზი ახვევია და კაცი არაა, რომ ყურადღება მიაქციოს.

ჩამოსული.

## ✤ რაფიელ ჩიხლაძე
(ნეკროლოგი).

9 ამ თვეს ქუთაისში საფლავს მიაბარეს უეცრად გადაცვალებულის მასწავლებლის რაფიელ ჩიხლაძის გვამი. განსვენებული 50 წლის თუ იქნებოდა. გათავებული ქონდა თფილისის სასულიერო სემინარია. დიდხანს მასწავლებლობდა ზესტაფონში, საჩხერეში, ქუთაისში სასულიერო და სამეურნეო სასწავლებელში, ფოთში კერძო სასწავლებელში და ყველგან მჭიდრო სულიერი კავშირი და და სიყვარული სუფევდა მისსა და მოწაფეთა შორის. არსად მშრალი და ვიწრო პროგრამით არ კმაყოფილდებოდა და მოსწავლეებს პროგრამის გარეშეც ბევრნაირ სასარგებლო ცოდნას სძენდა და სწავლის ხალისს უღვიძებდა, მეტათ მუყაითი, გამრჯელი და დაუღალავი კაცი იყო. სემინარიის მშრალცოდნათა გარეშეც სხვაც ბევრი ქონდა შესწავლილი და შეთვისებული, რადგან მეტის მეტი ცნობის მოყვარე იყო. ზედმიწევნით შესწავლილი ქონდა მეურნეობა, განსაკუთრებით ორი დარგი—მევენახობა და მეფუტკრობა. რაფიელმა პირველმა მიაქცია ყურადღება მთაგორიან ადგილებში ვენახის მოსპობას, თავის მცირე წვლილით ევროპიდან გამოიწერა ამერიკული ვაზი, გადააბრუნა მიწა, დარგო და ისე კარგათ მოუარა და გაახარა, რო მალე მთელმა მისმა სოფელმა შრომამ და გარშემო სოფლებმაც მიბაძეს მის მაგალითს. მშვენიერათ დააყენა აგრეთვე მეფუტკრეობის საქმე და რამდენჯერ ჯილდო და ქების ფურცელიც მიიღო ამისთვის. თანამშრომლობდა თითქმის ყველა ქართულსა და ადგილობრივ რუსულ გაზეთში. სწერდა მეფუტკრეობაზე „მწყემსში", რაც მერე ცალკე წიგნათაც გამოვიდა. მეფუტკრეობაზე და მევენახეობაზე „Кавказское Сельское Хозяйство"-ში, მეფუტკრეობის შესახებ მისი წერილები ხშირად გადაუბეჭდია „Россiйскiй пчеловодный журналъ"-საც პედაგოგიურ წერილებს და სხვადასხვა შინაარსისას ხშირად „ნათელაძის" ფსევდონიმით და ნამდვილი სახელისა და გვარის მოწერით „ივერიაში", ცნობის ფურცელში", „მეურნეში", ამ უკანასკნელისთვის სამკურნალო მცენარეების ლექსიკონიც თარგმნა, და ამ ბოლო დროს „კოლხიდაში" და „სახალხო გაზეთში".

ხშირათ უადგილოთ რჩებოდა და ცოლშვილით დატვირთული ბევრჯერ უკიდურეს სიღარიბე-გაჭირვებაში იყო, მაგრამ იმედს არ კარგავდა. შრომასა და ენერგიას არ კეცებდა და მომავალს იმედიანათ შეყურებდა.

დანაკლისია მისი ასე უდროოთ დაკარგვა მისი მოწაფეების პატივისმცემელთა და მთელი საზოგადოებისთვისაც, რომელიც მას მაინცდამაინც ვერც იცნობდა, მაგრამ რომლის სიყვარულიც მას მაინც ქონდა.

საუკუნო დარჩება შენი ხსენება ძვირფასო რაფიელ შენ მოწაფეთა და ნაცნობთა შორის.

მოწაფე—მეგობარი.

რედაქტორ-გამომცემელი გ ჭელიძე.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე წელიწადი მეორე
1913
იმერეთი

გაზეთის ფასი:

| | |
| --- | --- |
| ერთი წლით | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.
გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.
„პატოკსან".
„პატოკსან" შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.
„პატოკსან" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).
„პატოკსან" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,
„პატოკსან" ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.
ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის „გეორგი რუსინოვ და ამხ." თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".

ჭრა-კერვის სპეციალური სახელოსნო
ვღებულობ ქალთა ყოველგვარ ტანსაცმელს შესაკერათ, ხელმისაწვდომ ფასათ. შეკვეთილს ვასრულებთ თავის დროზე და პირნათლად.
მისამართი: თფილისის ქ. ქალაქის აფთიაქის პირდაპირ, ჯაშიკოვის სახლი.
პატივისცემით საშა ჭუმბაძე.

## რკინის გზა
ქუთაისიდან მიდის.

თფილისს: სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. დ.
ბათომს: სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. სად.; სახ. 11 ს. 27 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
ფოთს: საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. სად.; სახ. 7 ს. 56 წ. სად.
შორაპანს: საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.
ტყიბულს: სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სა... 45 წ. დღ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან: სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. სად.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
ბათომიდგან: ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სა... 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ... 7 საათ. დილ.
ფოთიდან: საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სა... 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 ...
შორაპნიდან: საავგ. 9 ს. 31 წ. ...
ტყიბულიდან: სახ. 5 ს. 11 წ. დღ. ... საათ. 9 წ. დილ.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან
ა. თაბაგარის მაღაზიაში
20 ივლისიდან დაინიშნულია
დიდი იაფი ვაჭრობა
ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდმალი საკერი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
ფასები ძლიერ დაკლებულია

სამკურნალო აბანო მეირფასი მთის აერზე ძმ. ყორყოლაძეების
ხრესილი
მეტად სასიამოვნო თანამედროვე წესით მოწყობილი ...
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა უწყ... სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი... ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

გ. გორდაძის და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ... უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩავ მალცევის ბემსკის ... ბის ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მისს ცუთზე ნიშანს „БЕМСК...
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სადებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.